თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს სხდომის

ოქმი N2

21 ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა: ლ. ლილუაშვილი

ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები: ბესიკ ქოჩიშვილი, გიგა ორკოდაშვილი, ნანა ხვისტანი, დავით ღაღანიძე, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ზ. მუსაევი, ნ. მაისურაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს წევრების მიერ მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოკვეთილი საჭიროებების განხილვის შესახებ:

მოისმონეს: 1. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" ს წევრების მიერ მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოკვეთილი საჭიროებების განხილვის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ლ. ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"მ დაასრულა მოსახლეობასთან შეხვედრები. ფრაქცია შეხვდა ქალაქ თელავისა და მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის მოსახლეობას, სადაც გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

თეთრიწყლები

- ნაგვის ურნის დამატება;
- სოფლის შემოსასვლელიდან ეკლესიამდე საჭიროა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების დაყენება;
- ბიბლიოთეკის შენობის სახურავის შეკეთება;
- სკოლის ღობე;
- გაზიფიცირებული არაა სოფელი;

ლეჩური

- გაზიფიცირებული არაა სოფელი;
- ინტერნეტის სიხშირის გაძლიერება;

- სკოლის შენობა ავარიულია;
- საბავშვო ბაღი არ არის სოფელში;
- ამბულატორია არ არის სოფელში;
- სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა.

ფშაველი

- სასმელი წყალის სათავე ნაგებობის მოწესრიგება;
- ცენტრალურ გზებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა;

ლალისყური

- შიდა საუბნო გზების მოწესრიგება;
- საჯარო სკოლა, საბავშვო ბაღი, სპორტული დარბაზი და ადმინისტრაციული ოთახი განთავსებულია ერთ შენობაში. სურთ სკოლა აშენდეს და ბაღისთვის შეიქმნას შესაბამისი პირობები რომ გაიაროს აკრედიტაცია.

ჯუღაანი

- სასმელი წყალის სისტემის მოწესრიგება;
- სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ნაგვის ურნების დამატება;
- გარე განათების ნათურების გამოცვლა;
- მაღალი ძაბვის ხაზი გადის დასახლებულ პუნქტში და სურთ გადატანა;

სანიორე

- შიდა გზების მოასფალტება;

ლაფანყური

- საბავშვო ბაღის შენობის აშენებას ითხოვენ;
- ცენტრალურ გზაზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა;

ნაფარეული

- შიდა გზების მოასფალტება;

ართანა

- სასმელი წყლის მოწესრიგება;
- სკვერში განათების მოწყობა. საბავშვო ატრაქციებთან მიწის საფარის მოწესრიგება;
- საუბნო გზების მოასფალტება;
- სკოლაში გათბობის სისტემის მოწყობა;
- სანიაღვრე არხების მოწყობა;
- საჭიროა ახალი ამბულატორიის აშენება;

კურდღელაური

- სკოლის მიმდებარედ არსებული დაბურღული წყალის გაწმენდა;

ვარდისუბანი

- შიდა საუბნო გზებზე გარე განათების მოწყობა;
- ახალ ავეჯის მაღაზიასთან მოსაწყობია სანიაღვრე არხები
- სკოლის მიმდებარე ტერიტოსიის გაწმენდა.

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემის მოგვარება;
- ცენტრალურ გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;

იყალთო

- სკოლაში გასაკეთებელია ელექტრო ქსელი;
- ე.წ იმერლიანთ უბანში (ახალ გზასთან) სასმელი წყლის მოწესრიგება;
- სკვერში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა.

ქალაქი თელავი (ყადორის უბანი)

- მეგობრობის ქუჩაზე სანიაღვრე არხებს დაფარება სჭირდება.
- ერისთავის და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაზე, ასევე იყალთოს ქუჩის ასახვევთან სანიაღვრე არხების გაწმენდა;

ქალაქი თელავი (ალაზანი-კავკასიონი) რაგბის სტადიონთან

- არსებულ სპორტულ მოედანზე ხელოვნური საფარს მოწყობა;
- მე-9 ბაღისკენ მიმავალი გზის მოასფალტება;

ქალაქი თელავი, რუსთაველის ქუჩა N75-თან

- ჩოდრიშვილის ქუჩაზე ნაგვის ურნის დადგმა;
- 102-ე კორპუსთან სანიაღვრე არხის დახურვა.
- 108-ე კორპუსის ეზოს მოასფალტება .
- წყალმომარაგების კომპანიის მიერ გამრიცხველიანების გამო ეზოები გაითხარა და საჭიროა ასფალტის საფარის აღდგენა.

ქალაქი თელავი, რუსთაველის ქუჩა N53-თან

- სკვერის მოწყობას;
- N53 კორპუსთან და აღმაშენებლის I ჩიხში შესაცვლელია ლამპიონის ბოძები;
- N53 კორპუსთან მოასფალტება
- დავით აღმაშენებლის II ჩიხის მოასფალტება და სანიაღვრე არხის მოწყობა;
- „ჯიბე“ მაღაზიის აღმოსავლეთით მინი მოედნის მოწყობა;
- აღმაშენებლის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;

ქალაქი თელავი, მშვიდობის ქუჩა

- ზაქარიაძის და ბესიკის ქუჩებზე სასმელი წყლის მოწესრიგება;
- ზაქარიაძის და მშვიდობოის ქუჩებზე დენის ბოძების შეცვლა;
- სოხუმის ქუჩის მოწესრიგება;
- უსახელო ხევზე მოსაწყობია ბოგირი.

ქალაქი თელავი (წინანდლის და სულხანიშვილების ქუჩების კვეთა)

- ალ. სულხანიშვილის I ჩიხი, წინანდლის ქუჩის I და II ჩიხების მოასფალტება;
- 300 არაგველის და დოლიძის ქუჩების მოასფალტება.

ქალაქი თელავი (გოგებაშვილის ქუჩა)

- ნინოშვილის და ჭონქაძის ქუჩებზე ქვაფენილის მოწყობა;
- მელიქიშვილის ქუჩაზე სასმელი წყალის მოწესრიგება;
- ჭონქაძის ქუჩაზე შესაცვლელია გარე განათების ბოძები და ნათურები;
- ჭონქაძის I ჩიხში წყალმომარაგების კომპანიამ გათხარა და აღარ მოაწესრიგა გზის საფარი.
-

ქალაქი თელავი (ალაზნის გამზირი VII სკოლასთან)

- აღმაშენებლის 54-ე კორპუსის ეზოს მოასფალტება;
- აღმაშენებლის შესახვევი #9-ის ეზოში ბავშვებისთვის ქვიშის პატარა მოედნის მოწყობა;
- კორპუსების პადვლებში მოსაწესრიგებელია საკანალიზაციო სისტემები. საჭიროა საკრებულოს დადგენილებაში ცვლილება რომ თანადაფინანსების პროგრამაში შემლონ მონაწილეობა;

ქალაქი თელავი (დევნილების დასახლება)

- სპორტული მინი-მოედნის მოწყობა;
- სახურავის თუნუქით გადახურვა;
- ქვედა კორპუსებთან მისასვლელი გზს მოასფალტება (ცხინვალიდან დევნილების დასახლება);
- ყოფილი სასადილოს ავარიული შენობის დემონტაჟი;

ალაზნის გამზირი (ქვემო)

- სპორტული მინი-მოედანი მოწესრიგება;
- ორსართულიან ე.წ. მიონის ბინებთან (30ა) გამოსაცვლელია ლამპიონის ბოძი;
- 9-სართულიან კორპუსი N38 ის საწვეთურების მოწესრიგება.

კავკასიონის ქუჩა

- ხევის რეაბილიტაცია და სანაპიროს მოწყობა;

ქალაქი თელავი (სამხედრო ქალაქი)

- მუსხელიშვილის ქუჩის მოასფალტება;
- სანიაღვრე არხების მოწესრიგება;
- შიდა ტერიტორიის დასუფთავება;
- ყვარლის და ოსტროვსკის ქუჩებზე მოსაწყობია საკანალიზაციო სისტემა (ამოსაცვლელია მილები); 36ა კორპუსთან;
- 36ა კორპუსის საწვეთურების მოწყობა;
- სამაჩაბლოს და ევდოშვილის ქუჩების მოასფალტება;

გადაწყვიტეს: აღნიშნული პრობლემების შესახებ წარედგინოს საკრებულოს.

ფრაქციის თავმჯდომარე: ლევან ლილუაშვილი